საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე სახიფათო ზღვარზე

ფაქტები | ტენდენციები | რისკები

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე - სახიფათო ზღვარზე

რუსეთის ეკონომიკაში დღეს სერიოზული პრობლემებია - შენელებულია ეკონომიკური ზრდა, საწვავის ბაზარზე არასტაბილურობაა, ფედერალურ ბიუჯეტში მზარდია დეფიციტი, ამას ემატება Wildberries-ის ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურაზე განხორციელებული თავდასხმები, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საბანკო სექტორის რისკები, აშშ-სა და ევროკავშირის დამატებითი სასანქციო პაკეტები... და, ამ დროს, 2008 წლის ომიდან 18 წლის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკა, მისი ცალკეული სექტორები და სასიცოცხლო მნიშვნელობის მიმართულებები რუსეთზე უზარმაზარ დამოკიდებულებას ინარჩუნებს. როგორია ეს დამოკიდებულება დღეს? რა ეკონომიკური რისკების წინაშე დგას ქვეყანა? ამ კითხვებზე პასუხს კონკრეტული სტატისტიკური მონაცემებითა და ფაქტებით შევეცდებით.

მთავარი მიგნებები

- **·საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე კვლავ მაღალია და ზოგიერთ სტრატეგიულ სექტორში კრიტიკულ ნიშნულს აღწევს.** 2026 წლის პირველ ნახევარში რუსეთთან სავაჭრო ბრუნვამ **1.53 მილიარდი აშშ დოლარი** შეადგინა, ხოლო ქვეყნის მთლიან საგარეო ვაჭრობაში მისი წილი **11.8%** იყო.

- **სასურსათო უსაფრთხოების რამდენიმე მნიშვნელოვანი პროდუქტის მიმართულებით საქართველო პრაქტიკულად ერთ მომწოდებელზეა დამოკიდებული.** 2026 წლის პირველ ნახევარში საქართველოში იმპორტირებული **ხორბლის თითქმის 92%, ფქვილის 98.5% და მზესუმზირის ზეთის 70%-ზე მეტი** რუსეთიდან შემოვიდა. ასეთ პირობებში რუსეთის მიერ ექსპორტის ნებისმიერი შეზღუდვა ან ბაზარზე შექმნილი კრიზისი საქართველოში პირველადი მოხმარების პროდუქტების ფასებზე პირდაპირ აისახება.

- **რუსეთი ნავთობპროდუქტების იმპორტშიც დომინანტურ პოზიციას ინარჩუნებს.** 2026 წლის იანვარ–ივნისში საქართველოში იმპორტირებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების **40.5%** რუსეთზე მოდიოდა. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის შიდა საწვავის კრიზისი, ინფრასტრუქტურაზე თავდასხმები ან ახალი სანქციები საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და ინფლაციაზე პირდაპირ მოქმედებს.

- **ქართული ღვინო კვლავ სახიფათოდ არის კონცენტრირებული რუსეთის ბაზარზე**. ღვინის ექსპორტიდან შემოსავლის **59.7%** ერთი ქვეყანიდან შემოდის. ეს ეკონომიკურ რისკთან ერთად პოლიტიკური ზეწოლის პოტენციურ ბერკეტსაც ქმნის, რაც საქართველომ 2006 წლის ემბარგოს დროს უკვე გამოცადა.

- **რუსეთი კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ინარჩუნებს ტურიზმსა და ფულად გზავნილებზე.** 2026 წლის მეორე კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების **16.6%** რუსეთის მოქალაქეებზე მოდიოდა, ხოლო ფულადი გზავნილებიდან რუსეთის წილი **დაახლოებით 12%** იყო. მიუხედავად დასავლეთის, ევროკავშირისა და აშშ-ს როლის მნიშვნელოვნად (ჯამურად 62%დე) გაზრდისა, ეს კვლავ მაღალი მაჩვენებელია.

- **საქართველოს მიმართ იზრდება საერთაშორისო ყურადღება რუსეთისათვის დაწესებული სანქციების გვერდის ავლის რისკების გამო.** 2026 წლის 23 ივლისს მიღებული ევროკავშირის 21-ე სანქციების პაკეტი შეეხო რუსეთის ფინანსურ და კრიპტოარხებს, „ჩრდილოვან ფლოტს“ და მესამე ქვეყნებში მოქმედ ნავთობგადამამუშავებელ ობიექტებს. კულევის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასთან ტრანზაქციების აკრძალვა ექვს თვეში უნდა ამოქმედდეს. ეს უკვე არა მხოლოდ რეპუტაციული რისკი, არამედ საქართველოში მოქმედი მსხვილი ეკონომიკური ობიექტის წინააღმდეგ მიღებული კონკრეტული სანქციური ზომაა.

- **თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია „თელასი“ 2026 წლის ივლისში სანქცირებული Inter RAO-ს ჯგუფთან დაკავშირებული აქტივია.** ამან, პერსპექტივაში, შესაძლოა გაართულოს ჯგუფის ფინანსური ოპერაციები და ეს აისახოს თელასზეც. შესაბამისად, გაზრდილია საქართველოს ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებიც.

- **რუსეთის ეკონომიკა სისტემური პრობლემების წინაშეა.** ეკონომიკური ზრდა 0–1%-მდე შენელდა, იზრდება ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაცია, საწვავის ბაზარზე არასტაბილურობა და საბანკო სექტორის რისკები. ასეთ პირობებში რუსეთზე მაღალი ეკონომიკური დამოკიდებულება საქართველოს საფრთხეებს კიდევ უფრო ზრდის.

- **2014–2015 წლების გამოცდილება ადასტურებს, რომ ეს საფრთხეები თეორიული არ არის.** მაშინ რუსეთის ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველოში გამოიწვია ექსპორტის, ფულადი გზავნილებისა და ტურისტული შემოსავლების შემცირება, ეკონომიკური ზრდის შენელება და ლარის გაუფასურების ერთ-ერთ ფაქტორადაც იქცა. დღეს საქართველოს დამოკიდებულება რიგ სექტორებში კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე იმ პერიოდში.

- **დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება არ არის მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების საკითხი.** იგი მოიცავს ვაჭრობას, ენერგეტიკას, სასურსათო უსაფრთხოებას, ტურიზმს, ფინანსურ ნაკადებსა და სანქციების აღსრულებასთან დაკავშირებულ რეპუტაციულ რისკებს. ამ ფაქტორების ერთობლიობას საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება სახიფათო ზღვარზე გაჰყავს.

1. **საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობები**

- 2026 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით, რუსეთი კვლავ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორია. 2026 წლის იანვარ–ივნისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 12.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.8%-ით მეტია. ამ პერიოდში საქართველოს სამი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი თურქეთი (1.66 მლრდ დოლარი), რუსეთი (1.53 მლრდ დოლარი) და ჩინეთი (1.50 მლრდ დოლარი) იყვნენ. შესაბამისად, **რუსეთის წილი ქვეყნის მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 11.8%-ს შეადგენდა.**

- ამავე პერიოდში ევროკავშირის ქვეყნების წილი ვაჭრობაში ჯამში 16%-ია, რაც ცალკე აღებულ ქვეყნების მონაცემებს აღემატება, თუმცა ბევრად ნაკლებია 30+% იან წილზე, რომელსაც თავის დროზე, 2014 წელს DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ, ამ გაერთიანების ქვეყნებთან ვაჭრობის მაჩვენებელმა მიაღწია.

სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ ბოლო წლების ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, გაიზარდა საქართველოს სავაჭრო დამოკიდებულება ავტორიტარული ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე და შემცირდა ევროკავშირზე. ამასთან, სავაჭრო პარტნიორებს შორის, განსაკუთრებით საექსპორტო თვალსაზრისით, მნიშვნელოვან პოზიციაზე გამოჩნდა ყირგიზეთი, რაც, ექსპერტული შეფასებებით, სწორედ რუსეთის ბაზარზე რეექსპორტთან უნდა იყოს დაკავშირებული.

2. **საქართველოს სოფლის მეურნეობა და, განსაკუთრებით, ღვინოს წარმოება რუსეთზე სახიფათო დამოკიდებულებას ინარჩუნებს**

2026 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან რუსეთში ექსპორტმა 332 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2025 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით პრაქტიკულად არ შეცვლილა (-0.1%). რუსეთი საქართველოს მეოთხე უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი იყო და მთლიან ექსპორტში მისი წილი 8.6%-ს შეადგენდა.

2025 წლის მაჩვენებლებით რუსეთში, ძირითადად, კვლავ სოფლის მეურნეობის პროდუქტი გადის - ყურძნის ნატურალური ღვინო (69.9 მილიონი აშშ დოლარი); სპირტიანი სასმელები (52.4 მილიონი აშშ დოლარი); მინერალური და მტკნარი წყლები (46.4 მილიონი აშშ დოლარი); ხილი, კაკალი და მცენარეული პროდუქცია (31.7 მილიონი აშშ დოლარი); ახალი ხილი (27.1 მილიონი აშშ დოლარი). **ამ ხუთი სასაქონლო ჯგუფის ღირებულებამ 227.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც რუსეთში განხორციელებული ექსპორტის დაახლოებით 68.5%-ია.** ეს მიუთითებს, რომ ექსპორტი არა მხოლოდ ერთ ბაზარზე, არამედ რამდენიმე კონკრეტულ პროდუქტზეც მაღალი კონცენტრაციით არის დამოკიდებული.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ღვინო - ცნობილია, რომ ღვინოს წარმოება საქართველოში არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვის მატარებელია. მასზე დამოკიდებულია ათასობით ყურძნის მწარმოებელი და ასობით ღვინის მწარმოებელი პირი თუ კომპანია. ამ ვითარებაში **2026 წლის იანვარ-ივნისშიც ღვინის ექსპორტის თითქმის 60% (59.7%), რუსეთზე მოდის.** მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ღვინის ექსპორტი წლიურად დაახლოებით 4%-ით შემცირდა, ქვეყნის დომინანტური პოზიცია პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

პრობლემა მხოლოდ რუსეთის ბაზრის მოცულობა არ არის, არამედ ის, რომ ქართული ღვინის ექსპორტის დიდი ნაწილი ერთ ქვეყანაზეა კონცენტრირებული. ასეთ პირობებში ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილება, სავაჭრო შეზღუდვა, რუბლის გაუფასურება ან რუსეთის ეკონომიკის გაუარესება პირდაპირ აისახება ქართული ღვინის მწარმოებლების შემოსავლებზე.

ამ რისკს ისტორიული გამოცდილებაც ამყარებს. რუსეთმა არაერთხელ, მათ შორის 2006 წელს საქართველოს წინააღმდეგ, ამ თვეებში კი სომხეთის წინააღმდეგ გამოიყენა სავაჭრო და სანიტარიული შეზღუდვები პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად.

რუსეთში ექსპორტის რეალურ მაჩვენებლებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ **2026 წლის იანვარ-ივნისის (6 თვის) წინასწარი მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების პირველ სამეულშია ყირგიზეთი (431,8 მლნ აშშ დოლარი), ჩინეთი (428,6 მლნ აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (335,9 მლნ აშშ დოლარი).**

გასათვალისწინებელია, რომ ყირგიზეთში და აზერბაიჯანში რეექსპორტირებული მანქანების და ზოგიერთი სხვა მსხვილი პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი, დიდი ალბათობით, რუსული ბაზრისთვისაა განკუთვნილი. ამიტომ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ყირგიზეთი საქართველოს საექსპორტო 10ეულში მხოლოდ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ გამოჩნდა.

3. **რუსეთი სასურსათო უსაფრთხოების წამყვანი პროდუქტისა და ენერგომატარებლების მნიშვნელოვანი მომწოდებელია**

2026 წლის იანვარ–ივნისში საქართველომ რუსეთიდან 1.2 მილიარდი აშშ დოლარის საქონელი შეიძინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 25.6%-იანი ზრდაა. **რუსეთი, თურქეთის შემდეგ, საქართველოს მეორე უმსხვილესი იმპორტის წყაროა და მთლიან იმპორტში მისი წილი 13.2%-ს შეადგენს.**

რუსეთზე იმპორტდამოკიდებულებაში განსაკუთრებულ ყურადღებას კვლავ სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროდუქცია (მაგალითად ხორბალი, მზესუმზირის ზეთი) და ნავთობპროდუქტები იმსახურებენ.

საქართველო მთლიანად რუსულ ხორბალზეა დამოკიდებული - მაგალითად 2026 წლის პირველ 6 თვეში საქართველოში 174,880 ტონა ხორბლისა და მესლინის ($45.3 მლნ) იმპორტი განხორციელდა,რუსეთიდან შემოვიდა 160,615 ტონა ($41.8 მლნ) ანუ თითქმის 92%-მდე. 90 პროცენტიანი წილი გქონდა რუსეთს გასულ წელსაც.

მონოპოლიურია რუსეთის როლი ფქვილის იმპორტშიც - 2026 წლის პირველ 6 თვეში სულ შემოვიდა 17,320 ტონა ($5.4 მლნ აშშ დოლარის) ხორბლის ფქვილი, საიდანაც 17,060 ტონა ($5.3 მლნ) სწორედ რუსული იმპორტი იყო. შესაბამისად, რუსეთის წილი ტონაჟის მიხედვით შეადგენს 98.5%-ს.

მზესუმზირის ზეთის ბაზარზეც საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რუსულ იმპორტზე. 2026 წლის პირველ ნახევარში რუსეთიდან მზესუმზირის ზეთის იმპორტის ღირებულებამ 25.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რის შედეგადაც რუსეთი ამ პროდუქტის უმსხვილეს მომწოდებლად დარჩა. მოცულობებით თუ დავიანგარიშებთ, ეს დამოკიდებულება 70%-ს აჭარბებს.

ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები - ენერგეტიკული სექტორის ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს დამოკიდებულება რუსეთზე ერთგვაროვანი არ არის და სხვადასხვა ენერგორესურსის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ბუნებრივი აირის მიწოდების სტრუქტურა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. **2026 წელს ბუნებრივი აირის 87.6% საქართველოში აზერბაიჯანიდან უნდა შემოვიდეს, 12% - რუსეთიდან;** მიუხედავად ამისა, ყურადღებას იმსახურებს რუსული გაზის მიწოდების ზრდის ტენდენცია. „გაზპრომის“ ინფორმაციით, 2025 წელს საქართველოში მიწოდებული ბუნებრივი აირის მოცულობა 2024 წელთან შედარებით 40.4%-ით გაიზარდა. ეს ცვლილება საერთო სტრუქტურას არსებითად არ ცვლის, იგი მიუთითებს, რომ რუსული გაზის მნიშვნელობა ბოლო წლებში ისევ მატულობს.

თხევადი ბუნებრივი გაზი (LPG) - საქართველოში მოხმარებული თხევადი გაზის/ თხევადი ბუნებრივი აირის თითქმის მთელი მოცულობა რუსეთიდან შემოდის. 2024 წელს იმპორტირებული LPG-ის დაახლოებით 99% რუსული წარმოშობის იყო, ხოლო 2025 წელსაც ეს სტრუქტურა არსებითად არ შეცვლილა. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ LPG ფართოდ გამოიყენება როგორც საყოფაცხოვრებო მოხმარებაში, ისე სატრანსპორტო სექტორში.

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - რუსეთის საწვავის ბაზარზე არსებული კრიზისი საქართველოს მაღალი დამოკიდებულების პირობებში განსაკუთრებულ რისკს ქმნის. 2025 წელს საქართველომ დაახლოებით 1.8 მილიონი ტონა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი განახორციელა, საიდანაც დაახლოებით 698 ათასი ტონა, ანუ 39%, რუსეთიდან შემოვიდა. ეს ტენდენცია გაგრძელდა 2026 წელსაც -წლის პირველ ნახევარში (იანვარი–ივნისი) საქართველომ 904.2 ათასი ტონა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი განახორციელა, საიდანაც 365.8 ათასი ტონა, ანუ 40.5%, რუსეთიდან შემოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ საწვავი რუმინეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბულგარეთიდან და ბელარუსიდანაც შემოდის, რუსეთი კვლავ საქართველოს უმსხვილესი მომწოდებელია. შესაბამისად, რუსეთის საწვავის ბაზარზე წარმოქმნილი პრობლემები, იქნება ეს ნავთობგადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის დაზიანება, საწვავის დეფიციტი, ლოგისტიკური შეფერხებები თუ საერთაშორისო სანქციების გამკაცრება, საქართველოში საწვავის ფასებსა და მიწოდების სტაბილურობაზე პირდაპირ შეიძლება აისახოს.

ელექტროენერგიის მთლიან შიდა მოხმარებაში რუსეთის წილი სულ 7%-ია - ელექტროენერგიის სექტორში საქართველოს დამოკიდებულება რუსეთზე მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე ბუნებრივი აირის, LPG-ის ან ნავთობპროდუქტების შემთხვევაში. 2025 წელს საქართველოს ელექტროენერგიის შიდა მოხმარების 89% ადგილობრივი გენერაციით დაკმაყოფილდა, ხოლო 11% იმპორტით. იმპორტირებული ელექტროენერგიის 62.4% რუსეთიდან შემოვიდა. თუმცა ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ საქართველოს ელექტრომომარაგება რუსეთზეა დამოკიდებული. მთლიან შიდა მოხმარებაში რუსული ელექტროენერგიის წილი მხოლოდ დაახლოებით 7%-ს შეადგენს. ამასთან, იმპორტირებული ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებული აფხაზეთის ენერგომომარაგებას ხმარდება, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მოხმარებული ელექტროენერგიის ძირითადი ნაწილი ადგილობრივი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავდება. შესაბამისად, ელექტროენერგიის სექტორში არსებული რისკები შედარებით დაბალია, თუმცა სეზონური დეფიციტის პერიოდში რუსული იმპორტი კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ამ მიმართულებით სრული ენერგოდამოუკიდებლობა მიღწეული არ არის,

ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით მთავარი გამოწვევა უკვე მხოლოდ ენერგორესურსების მოცულობა აღარ არის. არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი წყაროების მრავალფეროვნება. ერთი მომწოდებლის დომინანტური პოზიცია ყოველთვის ზრდის ეკონომიკური ზეწოლის, ფასების მკვეთრი მერყეობისა და მიწოდების შეფერხების რისკს. სწორედ ამიტომ ენერგეტიკული დივერსიფიკაცია მხოლოდ ეკონომიკური მიზანი კი არა, ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაც არის.

4. **დასავლეთის წილის სწრაფი ზრდის მიუხედავად, რუსეთიდან ფულადი გზავნილები კვლავ 12-13%-მდე ნიშნულზეა**

2025 წლისა და 2026 წლის პირველი ნახევრის მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოს დამოკიდებულება რუსეთიდან ფულად გზავნილებზე თანდათან მცირდება, თუმცა რუსეთი კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ რჩება. 2025 წელს რუსეთის წილი საერთო გზავნილებში დაახლოებით 13% იყო, 2026 წლის პირველ ნახევარში კი საქართველოში მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა დაახლოებით 1.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, აქედან რუსეთის წილი დაახლოებით 12% (225 მილიონ აშშ დოლარამდე) იყო. ამავე პერიოდში, თუ ევროკავშირს ერთიან სუბიექტად განვიხილავთ, ცხადი ხდება, რომ ფულადი გზავნილების გეოგრაფიული სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა და 2022–2023 წლებისგან განსხვავებით, საქართველოს ძირითადი ფინანსური ნაკადები სულ უფრო მეტად დასავლურ ქვეყნებზეა ორიენტირებული, კერძოდ - **146.9 მილიონი აშშ დოლარის გადმორიცხვით ევროკავშირი საქართველოს ფულადი გზავნილების მთავარი წყაროა და მისი წილი 42,2%-ს შეადგენს, ევროკავშირისა და აშშ-ის წილი ერთად კი უკვე 61.2%-ს აღწევს.**

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთის მნიშვნელობა გაქრა. იგი კვლავ უზრუნველყოფს საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების 12-13%ს და, შესაბამისად, რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, საბანკო სექტორის პრობლემები ან სანქციების შემდგომი გამკაცრება კვლავ შეიძლება აისახოს იმ ოჯახების შემოსავლებზე, რომლებიც რუსეთის ეკონომიკასთან არიან დაკავშირებული.

5. **რუსეთი ნაკლებგადამხდელი, მაგრამ მრავალრიცხოვანი ტურიზმის ნიშას ინარჩუნებს**

ბოლო წლებში საქართველოს ტურისტული ბაზარი შედარებით მეტად დივერსიფიცირდა, თუმცა რუსეთი კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემომყვან ბაზრად რჩება. შესაბამისად, რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა და იქ მიმდინარე პროცესები კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს მომსახურების სექტორზე.

2026 წლის პირველ კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები მხოლოდ **0.5%-ით** გაიზარდა. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, ასეთი დაბალი ზრდა ძირითადად ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტს, ავიარეისების შეზღუდვასა და ავიაბილეთების გაძვირებას უკავშირდებოდა.

მეორე კვარტალში საქართველომ საერთაშორისო მოგზაურობიდან 1.102 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო. აქედან 182.8 მილიონი აშშ დოლარი, ანუ დაახლოებით 16.6%, რუსეთის მოქალაქეებზე მოდიოდა(მაშინ, როცა რაოდენობრივად ისინი 25%ზე მეტი იყვნენ). ერთის მხრივ ეს ადასტურებს, რომ რუსი ტურისტები სხვაზე ნაკლებგადამხდელები არიან და ზოგადადაც, რუსული ტურიზმის როლზე მაღალი წარმოდგენა საქართველოს საზოგადოებაში გადაჭარბებულია; მეორეს მხრივ კი - მართალია, დღეს საქართველოს ტურიზმი გაცილებით მეტად არის დივერსიფიცირებული, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ისრაელიდან, ევროკავშირის ქვეყნებიდან, თურქეთიდან, აშშ-დან, საუდის არაბეთიდან და სხვა ბაზრებიდანაც მოდის. მიუხედავად ამისა, რუსეთის წილი კვლავ საკმარისად მაღალია იმისათვის, რომ ვიზიტორთა რაოდენობის შემცირება სწრაფად აისახოს სასტუმროების, რესტორნების, ტრანსპორტის, საცალო ვაჭრობისა და უძრავი ქონების გაქირავების სექტორებზე.

ტურიზმის სტატისტიკის შეფასებისას კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. 2022 წლის შემდეგ საქართველოში შემოსული რუსეთის მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი კლასიკური ტურისტი არ ყოფილა და ქვეყანაში ხანგრძლივი დროით ცხოვრობდა. მათი ყოველდღიური დანახარჯები ოფიციალურ სტატისტიკაში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებად აისახა. შესაბამისად, რუსეთის მოქალაქეებისგან მიღებული ტურისტული შემოსავლები ნაწილობრივ ასახავს არა მხოლოდ ტურიზმს, არამედ მიგრაციასთან დაკავშირებულ ხანგრძლივ მოხმარებასაც.

6. **სანქციები - საქართველოს როლი რუსეთის მიერ საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლის ეკოსისტემაში იზრდება**

ერთ-ერთი მთავარი საფრთხე, რაც საქართველოს ეკონომიკას რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გამო ემუქრება, დაკავშირებულია ქვეყნის როლთან რუსეთის მიერ საერთაშორისო სანქციების თავიდან არიდების პროცესში.

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციები ბოლო წლებში უპრეცედენტო მასშტაბს აღწევს. თუმცა, სანქციების გამკაცრებასთან ერთად ჩამოყალიბდა მრავალშრიანი საერთაშორისო ქსელიც, რომელიც რუსულ კომპანიებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შეზღუდვების ნაწილის გვერდის ავლის შესაძლებლობას აძლევს. ამ პროცესში მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის ლოგისტიკური კომპანიები, ფინანსური შუამავლები, კრიპტოპლატფორმები და რეექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესები. ევროკავშირისა და G7-ის შეფასებით, **სანქციების ეფექტიანობა დღეს უკვე დამოკიდებულია არა მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ შეზღუდვებზე, არამედ იმ მესამე ქვეყნებზეც, რომელთა გავლითაც რუსეთი ალტერნატიულ სავაჭრო და ფინანსურ არხებს ინარჩუნებს. სწორედ ამ კონტექსტში გაიზარდა საერთაშორისო ყურადღება საქართველოს მიმართ.**

„დანიშნულების ქვეყნის შეცვლა“ (Destination Washing) - ამის მაგალითია ექსპორტის სწრაფი ზრდა იმ ქვეყნებში, რომლებიც თავად რუსეთთან ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობებს ინარჩუნებენ. ივარაუდება, რომ ამ ექსპორტის დიდი ნაწილი საბოლოოდ სწორედ რუსეთში ხვდება, ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ყირგიზეთის მაგალითი. საინტერესოა, რომ 2022 წლამდე, კერძოდ უკრაინის ომის დაწყებამდე, ამ ქვეყანასთან საქართველოს ვაჭრობა მინიმალური იყო და 2021 წლის შემდეგ ზრდა რამდენიმე ათას პროცენტს აღემატება. მხოლოდ ერთ წელიწადში, 2024 წელს ექსპორტი ამქვეყანაში **86%-ით გაიზარდა.**

ორმაგი დანიშნულების საქონელი - სანქციების დაწესების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა მაღალი ტექნოლოგიური პროდუქციის იმპორტისა და რეექსპორტის სტრუქტურაც. ყველაზე ხშირად მოყვანილი მაგალითი მიკროჩიპებია. სხვადასხვა კვლევაში მოყვანილია მაგალითი, რომ თუ 2021 წელს საქართველოში მხოლოდ **375 ერთეული** მიკროჩიპი შემოვიდა, 2022 წელს ეს მაჩვენებელი **130 140 ერთეულამდე** გაიზარდა, რაც **33 725%-იან ზრდას** ნიშნავს. საერთაშორისო მონიტორინგის პრაქტიკაში სწორედ მსგავსი მკვეთრი გადახრები მიიჩნევა ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად, რომელიც დამატებით შესწავლას საჭიროებს.

რუსული კომპანიების რელოკაცია - 2022 წლის შემდეგ საქართველოში რუსული ბიზნესის აქტივობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2021–2025 წლებში რუსული საკუთრების მქონე კომპანიების რაოდენობამ **46 385-ს** მიაღწია, რაც დაახლოებით **640%-იან ზრდაა.** ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთის მოქალაქეების საბანკო დეპოზიტებიც. ეროვნული ბანკის მონაცემებით, უცხოური დეპოზიტების დაახლოებით **37%** კვლავ რუსეთის მოქალაქეებზე მოდის. აღნიშნული ორივე ტენდენცია ზრდის საქართველოს ფინანსური სისტემის მგრძნობელობას რუსეთის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების მიმართ და, შესაბამისად, საერთაშორისო პარტნიორების ყურადღებასაც.

ფინანსური და კრიპტოინფრასტრუქტურა - 2026 წლის ივლისში ევროკავშირმა მიიღო სანქციების **21-ე პაკეტი**, რომელმაც მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა სანქციების აღსრულების პრაქტიკაში. პაკეტი მოიცავდა **218 ახალ სანქცირებულ სუბიექტს - 170 იურიდიულ და 48 ფიზიკურ პირს.** პირველად დაწესდა ტრანზაქციების აკრძალვა **14 კრიპტოაქტივების მომსახურების პლატფორმაზე,** რომლებიც საქართველოში, პანამაში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, მარშალის კუნძულებზე, ყირგიზეთსა და ბელარუსში იყვნენ რეგისტრირებულნი.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განმარტა, რომ ევროკავშირის სიაში მოხვედრილი საქართველოში რეგისტრირებული კომპანიები - **Aifory LLC, Abcex LLC და Rapira Group LLC** - საქართველოში ოპერირებას არ ეწეოდნენ და ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერები არ იყვნენ. მიუხედავად ამისა, მათთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: 21-ე სანქციების პაკეტმა ევროკავშირს პირველად მისცა სამართლებრივი შესაძლებლობა, სრულად შეზღუდოს თანამშრომლობა მესამე ქვეყნებში მოქმედ იმ კრიპტოპლატფორმებთან, რომლებიც რუსეთის მიერ სანქციების გვერდის ავლისთვის გამოიყენება. ეს მიუთითებს, რომ ყურადღება უკვე არა მხოლოდ რუსულ, არამედ მესამე ქვეყნების ინფრასტრუქტურაზეც გადადის. და ეს მესამე ქვეყანა საქართველოცაა.

ყულევი, ნავთობი და „ჩრდილოვანი ფლოტი“ - ბოლო თვეებში რუსეთის ნავთობგადამამუშავებელ ბაზარზე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ 2025 წლის ოქტომბერში ექსპლუატაციაში შევიდა Black Sea Petroleum-ის ყულევის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. საწარმომ მუშაობა რუსული კომპანია RussNeft-ის ნედლი ნავთობის გადამუშავებით დაიწყო.

სხვადასხვა ინფორმაციით, 2025 წლის ოქტომბრიდან 2026 წლის მაისამდე ქარხანამ რუსული ნავთობის ექვსი პარტია მიიღო, ხოლო 2026 წლის პირველ ნახევარში 650 ათას ტონაზე მეტი ნედლეული გადაამუშავა.

ორგანიზაცია Centre for Research on Energy and Clean Air (CREA)-ის შეფასებით, 2023 წლის თებერვლიდან 2026 წლის თებერვლამდე ყულევის პორტიდან ევროკავშირსა და აშშ-ში 1.46 მილიონი ტონა ნავთობპროდუქტი გავიდა, რომლის ღირებულებამ 811 მილიონი ევრო შეადგინა.

სწორედ ამ კონტექსტში, 2026 წლის 21-ე სანქციების პაკეტით ევროკავშირმა სანქციები დაუწესა ყულევის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას და დამატებით 41 გემი შეიყვანა ე.წ. „ჩრდილოვანი ფლოტის“ სიაში. შედეგად, სანქცირებული გემების რაოდენობა 673-მდე გაიზარდა.

სანქცირებული რუსული სახელმწიფო კაპიტალი საქართველოს ენერგეტიკაში - განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია „თელასი“ კვლავ რუსული სახელმწიფო ენერგოკომპანია **Inter RAO-ს** ჯგუფთან დაკავშირებული აქტივია. ევროკავშირის მიერ 2026 წლის ივლისში მიღებულ 21-ე სანქციების პაკეტში სანქციები დაუწესდა Inter RAO-სა და მის ხელმძღვანელობას. მიუხედავად იმისა, რომ სანქციები უშუალოდ „თელასზე“ არ გავრცელებულა, სანქციების შემდგომი გაფართოების შემთხვევაში, თეორიულად, შესაძლოა გართულდეს ჯგუფის ფინანსური ოპერაციები, დივიდენდების გადარიცხვა, ტექნიკური მომსახურება და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა. შესაბამისად, საუბარი აღარ არის მხოლოდ საკუთრების საკითხზე — ეს უკვე ეროვნული ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკების ნაწილად უნდა განიხილებოდეს.

ფინეთის ეროვნული საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოძიება - სხვადასხვა კვლევაში ასევე მოყვანილია 2026 წლის იანვარში ფინეთის ეროვნული საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოძიების შედეგები - საგამოძიებო პროგრამა **MOT-მა** გამოაქვეყნა გამოძიება, რომლის მიხედვითაც თბილისის მისამართთან დაკავშირებული **Arnika Trade** ფიგურირებდა ფინური კომპანია **Wärtsilä-ს** საზღვაო ძრავების სათადარიგო ნაწილების რუსეთში მიწოდების ქსელში. გამოძიება რუსეთის საბაჟო მონაცემებისა და ღია საზღვაო ბაზების ანალიზს ეყრდნობოდა.

ყველაფერი ზემოთქმული მოწმობს, რომ საქართველო უკვე საკმაოდ სახიფათო მოსახვევშია შესული და რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა ქვეყანას, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს. სანამ ამ ფასზე ვისაუბრებთ, რამდენიმე სიტყვა თავად რუსეთში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზე;

***

რუსეთის ეკონომიკა დღეს

რუსეთის ეკონომიკა 2026 წლისთვის პრობლემების წინაშეა. თუ 2023–2024 წლებში ეკონომიკური ზრდა ძირითადად სამხედრო წარმოების, სახელმწიფო ხარჯებისა და ენერგორესურსებზე მაღალი ფასების ხარჯზე იყო უზრუნველყოფილი, 2026 წელს თითქმის ყველა ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი გაუარესდა. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 0–1%-მდე შეამცირა (ადრე 0.5–1.5%), ხოლო არა ერთი საერთაშორისო ანალიტიკური ცენტრი უკვე სტაგნაციას ან ტექნიკურ რეცესიას პროგნოზირებს. ამ ტენდენციას ადასტურებს ისიც, რომ 2026 წლის პირველ კვარტალში რუსეთის ეკონომიკა, წინა კვარტალთან შედარებით, 0.2%-ით შემცირდა, რაც 2022 წლის შემდეგ პირველი კვარტალური კლებაა.

2026 წლის ივნისში წლიურმა ინფლაციამ რუსეთში დაახლოებით 6% შეადგინა, ხოლო ცენტრალურმა ბანკმა წლის პროგნოზი 6–7%-მდე გაზარდა. ოფიციალური განმარტებით, ფასების ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საწვავის გაძვირება გახდა. ამავე დროს, უკრაინის თავდასხმებმა ნავთობგადამამუშავებელ ინფრასტრუქტურაზე საწვავის ბაზარზეც იმოქმედა. ზაფხულის განმავლობაში რუსეთის რამდენიმე რეგიონში ბენზინის დეფიციტი გაჩნდა, რამაც იმპორტის ზრდა, ავტოგასამართ სადგურებზე რიგები და ტრანსპორტირების ხარჯების მატება გამოიწვია.

ზეწოლა იზრდება სახელმწიფო ფინანსებზეც. Reuters-ის შეფასებით, 2026 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტმა უკვე მშპ-ის 2.6% შეადგინა, მაშინ როდესაც მთელი წლისთვის დაგეგმილი მაჩვენებელი 1.6% იყო. დეფიციტის ზრდის მთავარი მიზეზი კვლავ სამხედრო დანახარჯების გაფართოებაა.

უარესდება ბიზნესგარემოც. რუსეთის ცენტრალური ბანკის ბიზნესკლიმატის ინდექსი (Business Climate Indicator) 2026 წლის ივლისში - 3.6 პუნქტამდე დაეცა, რაც 2022 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ეს მიუთითებს, რომ კომპანიები მოთხოვნის, წარმოებისა და ინვესტიციების შემცირებას ელოდებიან. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს მაღალი საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც ზღუდავს კერძო ინვესტიციებს და ზრდის კომპანიების მიერ სესხების მომსახურების ხარჯს.

სისტემური რისკები მატულობს საბანკო სექტორშიც. ევროკავშირისთვის მომზადებული ევროპული სადაზვერვო შეფასების მიხედვით, კორპორაციული სესხების დაახლოებით 10% უკვე საეჭვო კატეგორიაშია, ხოლო ზოგიერთი მსხვილი ბანკის საცალო პორტფელში პრობლემური სესხების წილი 15%-ს აღწევს. 2025 წელს 500 ათასზე მეტმა რუსმა გაკოტრება გამოაცხადა, ხოლო 2026 წელს ერთ-ერთმა უმსხვილესმა სახელმწიფო ბანკმა - VTB-მ - განაცხადა, რომ ზრდის რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების დასაფარად.

დამატებითი რისკი შექმნა უკრაინის მიერ რუსეთის უმსხვილესი ელექტრონული კომერციის პლატფორმის - Wildberries-ის - ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურაზე განხორციელებულმა დრონებით თავდასხმებმა. რამდენიმე დღეში დაზიანდა კომპანიის საწყობების 10%-ზე მეტი, რის შედეგადაც დაზარალდა ათიათასობით მცირე მეწარმე. ეს ზრდის როგორც თავად კომპანიის, ისე მის პარტნიორ ბიზნესების გადახდისუნარიანობის რისკს და დამატებით ზეწოლას ქმნის იმ ბანკებზე, რომლებიც მათ აფინანსებენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერ საბანკო კრიზისს არ ნიშნავს, მსგავსი მოვლენები ფინანსური სისტემის მდგრადობას საფრთხეს უქმნის.

საქართველოსთვის ეს ტენდენციები განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან, როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტებიც ადასტურებს, ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ რუსეთთან არის დაკავშირებული.

დასკვნა

დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე დღეს მხოლოდ მაღალი აღარ არის, იგი რამდენიმე სტრატეგიულ სექტორში კრიტიკულ ნიშნულს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში შემცირდა რუსეთზე დამოკიდებულება ფულადი გზავნილებისა და ნაწილობრივ ტურიზმის მიმართულებით, ამავდროულად კვლავ უკიდურესად მაღალია დამოკიდებულება სასურსათო უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან პროდუქტებზე (ხორბალი, ფქვილი, მზესუმზირის ზეთი), ნავთობპროდუქტებზე, LPG-ზე, ღვინის ექსპორტზე და, ნაწილობრივ, ბუნებრივი აირის მიწოდებაზე. ამასთან, იზრდება საქართველოს ჩართულობასთან დაკავშირებული საერთაშორისო რისკებიც, რომლებიც სანქციების გვერდის ავლის, რუსული კაპიტალის, ფინანსური ნაკადებისა და ნავთობლოჯისტიკის მიმართულებით უკვე კონკრეტულ საერთაშორისო რეაგირებაში აისახა.

ისტორიული გამოცდილება, განსაკუთრებით 2014–2015 წლების რუსული ეკონომიკური კრიზისი, ადასტურებს, რომ რუსეთის ეკონომიკური პრობლემები საქართველოზე სწრაფად და პირდაპირ აისახება. დღეს, როდესაც თავად რუსეთის ეკონომიკა ზრდის შენელების, საბიუჯეტო დეფიციტის, ფინანსური სისტემის მზარდი რისკებისა და სანქციების გამკაცრების პირობებში ფუნქციონირებს, საქართველოს ეკონომიკის მაღალი კონცენტრაცია რუსეთზე დამატებით საფრთხეებსქმნის.